ღვთისმეტყველება ეკლესიაში და საერო უნივერსიტეტში: მახასიათებლები და პრობლემები

სინოდალური ბიბლიურ-ღვთისმეტყველებითი კომისიის თავმჯდომარის, ზოგადსაეკლესიო ასპირანტურის რექტორის, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო განყოფილების თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის ინტერვიუ ჟურნალ „თეოლოგიის საკითხების“ („Вопросы теологии“) სამეცნიერო რედაქტორთან ალექსანდრე კირლეჟევთან.

– ჩვენი საუბარი ეძღვნება ღვთისმეტყველებას (თეოლოგიას), როგორც რელიგიური აზრისა და

გამოცდილების განსაკუთრებულ სფეროს. ამიტომ პირველი კითხვა – ყველაზე ზოგადი: რა არის ღვთისმეტყველება? როგორ დეფინიციას მისცემდით მას?

– ვფიქრობ, კლასიკური განსაზღვრებით უნდა დავიწყოთ, რომელიც თავის დროზე ევაგრე მონაზონმა ჩამოაყალიბა. კითხვაზე, ვინ არის ღვთისმეტყველი, მან მიუგო: ღვთისმეტყველი არის ის, ვინც ჭეშმარიტად ლოცულობს, და თუ შენ ჭეშმარიტად ლოცულობ, ე. ი. ღვთისმეტყველი ხარ. ეს, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს ღვთისმეტყველების დისკურსის მთელ სფეროს, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან კრიტერიუმზე მიუთითებს, რომელიც ღვთისმეტყველს განასხვავებს, მაგალითად, რელიგიათმცოდნისგან, ფილოსოფოსისგან, სხვა საერო სპეციალობის წარმომადგენლებისგან: ღვთისმეტყველება ვერ იქნება მოწყვეტილი რელიგიური პრაქტიკისგან. ღვთისმეტყველება არ არის უბრალო თეორიზირებული მსჯელობა ღმერთის შესახებ, არამედ – ღვთის შემეცნება, რომელიც უწყვეტად უკავშირდება ლოცვის გამოცდილებას.

აქ შეგვიძლია, გავიხსენოთ ადამიანი, რომელიც საეკლესიო ტრადიციაში წოდებულია „ღვთისმეტყველად“ – წმინდა მღვდელთმთავარი გრიგოლ ღვთისმეტყველი. ის ამბობდა, რომ ღმერთის შესახებ ფილოსოფოსობა არ შეიძლება ყველასთვის, ყოველ დროს და ყველა ვითარებაში. ფილოსოფოსობა, ანუ ფიქრი და მსჯელობა ღმერთზე, შეუძლია იმას, ვინც მანამდე გული განიწმიდა ან განწმედის პროცესშია. აქცენტი აქ კვლავ რელიგიურ პრაქტიკაზეა გაკეთებული.

თანამედროვე სამყაროს წარმოდგენით, განსაკუთრებით დასავლურის, ღვთისმეტყველი ეს არის კაცი, რომელსაც თავის ირგვლივ წიგნები შემოუწყვია, იქიდან რაღაცეებს ამოიკითხავს და მერე რაღაცას თავისას დაწერს. რა თქმა უნდა, ღვთისმეტყველება წარმოუდგენელია წიგნებისა და, საერთოდ, ლიტერატურული ტრადიციების გარეშე, მაგრამ ის ამით არანაირად არ შემოიფარგლება. ნამდვილი ღვთისმეტყველი ისაა, ვინც ღრმა რელიგიური ცხოვრებით ცხოვრობს და ღვთისმეტყველური ცოდნა გააჩნია, მათ შორის, გარე წყაროებიდან მიღებული, – იქნება ის წმინდა წერილი, წმინდა მამათა ნაშრომები თუ თანამედროვე ღვთისმეტყველთა წიგნები. ეს ცოდნა ზემოდან ედება მის საკუთარ რელიგიურ გამოცდილებას და მადანივით დნება ამ გამოცდილების სახმილში. ამის შემდეგ რასაც ის ლიტერატურული პროდუქტის სახით აწარმოებს, შეიძლება იყოს არა უბრალოდ წიგნიერი სიბრძნის ნაყოფი, არამედ საკუთარი გამოცდილებისაც.

– თუ სწორად გავიგე, თქვენ გვთავაზობთ, ღვთისმეტყველებაში და ღვთისმეტყველში დავინახოთ ორი მთავარი ასპექტი: პირველი ეხება გონებას ძველი და ღვთისმეტყველური გაგებით, ანუ ღმერთისკენ ლოცვებით მიმართულ გონებას, მეორე – ადამიანის რაციონალურ შესაძლებლობას, რომელიც რეალიზდება მსჯელობაში, ანალიზში, სინთეზში, ტექსტის შედგენაში? ეს ორი ასპექტი ერთმანეთთან კავშირშია და რაციონალური ნაწილიც ასევე მნიშვნელოვანია, რადგან თუ არ არის მსჯელობა, მაშინ ეს მხოლოდ მდუმარებაა...

– დიახ, ერთი ასპექტი – ეს ის რაციონალური შემადგენელია, რომელიც ამა თუ იმ დოზით ყოველთვის არსებობს ღვთისმეტყველურ დისკურსში. მეორე შემადგენელი კი ის არის, რაც გულის, ლოცვის დონეზე ხდება, როგორც გონების ღმერთთან საუბარი. ჩვენ ხომ საკუთარ თავს ნაწილებისგან შედგენილს აღვიქვამთ: აი, აქ გული მუშაობს, აქ კი ხოლოდ ტვინი. თუ ჩვენ მარტო ტვინით ვლოცულობთ, მაშინ ეს არ არის სრულფასოვანი ლოცვა; თუ მარტო გულით ვლოცულობთ, ტვინი კი მთვლემარებს, მაშინ ხიბლშიც კი შეიძლება აღმოვჩნდეთ. როცა ადამიანი ლოცულობს, იგი ამ დროს მთელი არსებით ლოცვაში ინთქმება. როცა ადამიანი ღვთისმეტყველებს, მაშინ, ვფიქრობ, ის მოწოდებულია იმად, რომ ღვთისმეტყველება მისი ცხოვრებისეული გამოცდილების ნაწილი გახდეს, რომელშიც გონებასთან ერთად შთანთქმულია გულიც, ღმერთთან მყოფობის სურვილიც და შესაძლებლობაც, და მის წინაშე წარდგომის მოლოდინიც.

აი, კონკრეტული მაგალითი: წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, რომელიც X საუკუნის მეორე ნახევარსა და XI საუკუნის პირველ მეოთხედში ცხოვრობდა. არსებობს მის შესახებ ერთი შეხედულება, რომელიც ოქსფორდში სწავლისას აღმოვაჩინე, როდესაც მის მემკვიდრეობას ვიკვლევდი, როგორც ღვთისმეტყველების ობიექტს. შევისწავლე ამ ავტორისადმი მიძღვნილი ლიტერატურა – ის არ არის მრავალრიცხოვანი, ასე რომ, დიდად არ გამჭირვებია. და აი, იქ სვიმეონი წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელმაც გარკვეული ავტორების ზეგავლენა განიცადა, მათ შორისაა: ორიგენე, გრიგოლ ნოსელი, დიონისე არეოპაგელი, მაქსიმე აღმსარებელი. მაგრამ, როცა თავად სვიმეონის წაკითხვა დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ მას არა ჰყავს დამოწმებული არცერთი ეს ავტორი. სამაგიეროდ იმოწმებს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველს, ძალიან ხშირად – წმინდა წერილს, ლიტურგიკულ ტექსტებს, ასევე მუდმივი წარგზავნები აქვს თავის სულიერ მოძღვართან – სვიმეონ სტუდიელთან. ანუ ბეკგრაუნდი არ იყო ისეთი, როგორიც ის მეცნიერებმა აღწერეს და წიგნის მაგიდასთან მჯდომი კაცი წარმოგვიდგინეს. თავის საღვთისმეტყველო ცოდნას იგი ძირითადად წიგნებიდან კი არა, ღვთისმსახურებიდან იძენდა. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებები მაშინ ღვთისმსახურებაზე იკითხებოდა – სტუდიის მონასტერში და წმინდა მამანტის მონასტერში, სადაც ის იღვწოდა. ვფიქრობ, ეს ძალიან საინტერესოა.

– აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ეს ორი წმინდანი, რომლებმაც ტრადიციაში „ღვთისმეტყველის“ სახელები მიიღეს, – მახარებელი იოანე ღვთისმეტყველის შემდეგ, პოეტებიც იყვნენ, – პოეტურ ტექსტებსაც წერდნენ და არა მხოლოდ ტრაქტატებს. ეს როგორღაც უკავშირდება ღვთისმეტყველის შესახებ თქვენს წარმოდგენას?

– ძალიან მჭიდროდ უკავშირდება. უფრო მეტიც, მე ვიტყოდი, რომ იოანე ღვთისმეტყველიც პოეტია, იმიტომ, რომ როცა თქვენ კითხულობთ: პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი... – ესეც პოეტური ტექსტია. არსებობს ასეთი ვერსიაც, რომ ეს იყო ადრექრისტიანული ჰიმნი, რომელიც მერე სახარებაში შეიტანეს. ამ თეორიას მე არ ვიზიარებ, მაგრამ იოანე ღვთისმეტყველი რომ პოეტი იყო, ეს აშკარაა.

– გადავიდეთ აქტუალურ პრობლემატიკაზე, რომელიც თეოლოგიის გაგებას უკავშირდება. ღვთისმეტყველება, როგორც თქვენ მას აღწერთ, ეს, რა თქმა უნდა, არის ის, რასაც ჩვენ ეკლესიურ ღვთისმეტყველებას ვუწოდებთ, რომელიც ყოველთვის იყო, აქვს დიდი ტრადიცია და სწორედ ასე აღიქმება ეკლესიის შიგნით, სასულიერო სკოლებში და მომავალ ღვთისმეტყველებს სწორედ ამ სულისკვეთებით ზრდიდნენ. მაგრამ ახლა, გარდა ამ ეკლესიური ღვთისმეტყველებისა, გამოჩნდა ის, რასაც საერო თეოლოგიას უწოდებენ და რომელიც სულ ახლახან რუსეთში აღიარებულ იქნა სამეცნიერო სპეციალობად. ეს თეოლოგია, არა მხოლოდ სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიას მოიცავს, არამედ სხვა რელიგიებსაც და შესულია საერო აკადემიურ, უნივერსიტეტულ სივრცეში. როგორ აღწერდით ამ ორი თეოლოგიის ურთიერთდამოკიდებულებას იმის გათვალისწინებით, რომ საერო თეოლოგიიდან ძნელია, იმ ორერთობას ველოდოთ, რაც დამახასიათებელია საეკლესიო ღვთისმეტყველებისათვის მისი აპელაციით ევაგრე პონტოელთან?

– ეს არ არის უბრალო კითხვა და, ვფიქრობ, ერთაზროვანი პასუხი მასზე არ არსებობს. სად არის ის ზღვარი, სადაც ღვთისმეტყველება უკვე აღარ არის ღვთისმეტყველება ეკლესიური გაგებით? და სად არის ის ზღვარი, რომლის იქითაც თეოლოგია, როგორც საერო მეცნიერება, უკვე აღარ არის საერო? ამ ზღვარის გავლება საკმაოდ ძნელია.

როდესაც ვლაპარაკობთ საერო საგანმანათლებლო სივრცეში თეოლოგიის არსებობაზე, ამით ხაზს ვუსვამთ, რომ თეოლოგია, როგორც მეცნიერება, არ არღვევს განათლების საერო ხასიათს. რა გაგებით? იმ გაგებით, რომ თეოლოგიის კათედრა არ უნდა ვაქციოთ ეკლესიის ამბიონად. თეოლოგიის კათედრები არ უნდა ვაქციოთ ადამიანების ეკლესიაში მისაზიდად – ან მეჩეთსა და სინაგოგაში, – თუ ლაპარაკია სხვა რელიგიური კონფესიების თეოლოგიის კათედრებზე. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის, საერო სასწავლებლის დონეზე ჩვენ თეოლოგიის სწორედ იმ რაციონალურ შემადგენლობას ვიღებთ, რომელიც, საკუთრივ, აისბერგის მწვერვალს წარმოადგენს. ხოლო რა ხდება ადამიანის სულში, როგორ რეაგირებს მისი გული, ლოცულობს თუ არა ის დილა-საღამოს – ამას ჩვენ მის სინდისზე ვტოვებთ. უცნაური იქნებოდა, უნივერსიტეტში თეოლოგიის პროფესორს რომ სტუდენტისთვის ეკითხა, კითხულობს თუ არა იგი დილა-საღამოს ლოცვებს. ეს მას არ ეხება, ეს შეიძლება მის სულიერ მოძღვარს ეხებოდეს, თეოლოგიის პროფესორის ამოცანა კი საერო უნივერსიტეტში – ეს არის, ის ცოდნა გადასცეს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს, გაეცნოს ამა თუ იმ რელიგიურ ტრადიციას.

თუმცა თვით ამ რელიგიური ტრადიციის სწავლება, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მისგან მოწყვეტილი, ე. ი. ეს არ უნდა იყოს უბრალოდ რაღაც აზრების თავისუფალი ფრენა ან ფანტაზიები. თეოლოგისგან, ვინც ამ საგანს ასწავლის, უნდა ველოდოთ, რომ ის დაკავშირებულია კონკრეტულ რელიგიურ ტრადიციასთან; და სწორედ ამაშია მისი განსხვავება რელიგიათმცოდნისგან, რომელიც ყოველთვის არ არის რელიგიურ ტრადიციასთან დაკავშირებული და ერთნაირად ნეიტრალურია მართლმადიდებლობისადმი, ისლამისადმი, იუდაიზმისადმი, რაღაც სექტებისადმი და ა. შ.

ასეთი შემთხვევა მქონდა. ერთ-ერთ საერო უნივერსიტეტში გამოვდიოდი და იქ ერთი პედაგოგი იჯდა, რომელმაც თქვა, რომ მისთვის, როგორც რელიგიათმცოდნისთვის, სულერთია – ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, სექტანტობა თუ სატანიზმი. მე მას ვუპასუხე, რომ თუ თქვენ ასე თვლით, მაშინ ასეთ რელიგიათმცოდნესთან ჩვენ ერთი გზა ვერ გვექნება. იმიტომ, რომ ჩვენთვის ერთი და იგივე არ არის – ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი და სატანიზმი. იმ რელიგიათმცოდნეებთან კი, რომლებიც პატივისცემით ეპყრობიან ამ ტრადიციებს, ჩვენ სავსებით შეგვიძლია საერთო ენის გამონახვა.

– ე.ი. ნებისმიერ ადამიანს, იმასაც კი, ვინც არ იმყოფება რელიგიურ ძიებაში, შეუძლია, საერო უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრაზე მოეწყოს იმისათვის, რომ გაეცნოს და შეისწავლოს ეს რელიგიური ტრადიციები. მაგრამ ამასთან, ასეთი თეოლოგიური კათედრები აუცილებლად კონფესიონალურია და ამიტომ ის არა ყველა, ასე ვთქვათ, რელიგიური და თეოლოგიური ტრადიციების კრებულს ეცნობა, როგორც ეს რელიგიათმცოდნეობის კათედრებზე ხდება, არამედ,

მხოლოდ ერთ-ერთ ტრადიციას. აქედან გამომდინარე, პედაგოგი აუცილებლად უნდა იყოს ასოცირებული რომელიღაც რელიგიურ ორგანიზაციასთან და საერთოდ, უნდა არსებობდეს კონფესიონალური კონტროლი. ეს გვახსენებს სიტუაციას, ვთქვათ, გერმანიის უნივერსიტეტებში, სადაც თეოლოგიური ფაკულტეტები – პროტესტანტულიც და კათოლიკურიც – გარკვეული სახით დაკავშირებული არიან შესაბამის ეკლესიებთან. მაგრამ უნივერსიტეტის შიგნით მათი წევრები, უბრალოდ, პროფესორები და მეცნიერები არიან.

– დიახ. ვფიქრობ, დროთა განმავლობაში ჩვენთანაც ჩამოყალიბდება და უკვე ყალიბდება დაახლოებით ასეთივე სისტემა. ანუ ჩვენ არ უნდა გავუშვათ ეს საუნივერსიტეტო თეოლოგია თავისუფალ ცურვაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი ადამიანები გამოჩნდებიან, რომლებიც არ არიან ამა თუ იმ რელიგიურ ტრადიციასთან დაკავშირებულნი ან, საერთოდ, რელიგიის მოწინააღმდეგენი არიან. მიუხედავად ამისა, თეოლოგიის დოქტორის ხარისხს მიიღებენ და თეოლოგიის მასწავლებლები გახდებიან. ასეთი რამ არ უნდა მოხდეს. თეოლოგიის პედაგოგს, გარდა მასწავლებლობის ლიცენზიისა, რომელსაც ის საერო უნივერსიტეტში იღებს, უნდა ჰქონდეს ასევე გარკვეული აპრობაცია გავლილი შესაბამისი რელიგიური კონფესიის მხრიდან.

– სხვა სიტყვებით, არანაირ თავისუფალ თეოლოგიას თქვენ არ იწყნარებთ: ის ან მიბმულია კონკრეტულ რელიგიურ საზოგადოებასთან და ორგანიზაციასთან, ანაც ეს არის რაღაც ფილოსოფია, თავისუფალი აზროვნება...

– ან ეს უკვე თეოლოგია აღარ არის. ეს შეიძლება იყოს რელიგიათმცოდნეობა, შეიძლება იყოს ფილოსოფია. თეოლოგია კი, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა უკავშირდებოდეს რელიგიურ ტრადიციას – კონკრეტულს, ცოცხალს.

– თუმცა თუ ჩვენ დავუბრუნდებით გერმანულ სიტუაციას, როგორც მაგალითს, იქ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი რამ, როგორიცაა აკადემიური თავისუფლება. თეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორები ერთნაირ სტატუსში არიან ყველა სხვა პროფესორებთან, და მათ აქვთ ავტონომია იმ

გაგებით, რომ იდეოლოგიურად არ აკონტროლებს მათ ეკლესია. ისინი ისეთნაირადვე მოქმედებენ, როგორც ყველა სხვა ჰუმანიტარები, ცენზურის გარეშე – სწორედ იმიტომ, რომ მათი კათედრა არ არის ეკლესიის ამბიონი. თვით მეცნიერება, თავისი წესებით, აძლევს მათ კვლევის დიდ თავისუფლებას. ჩვენც შეგვიძლია, აქამდე მივიდეთ?

– ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენც მაქამდე მივალთ, მაგრამ აქ კვლავ დგება ბალანსებისა და საზღვრების საკითხი. თუკი ლაპარაკი იმაზეა, რომ ყველა თეოლოგს აქვს შესაძლებლობა, შემოქმედებითად მიუდგეს თეოლოგიურ მეცნიერებას, მაშინ ამას რატომაც არ უნდა მივესალმოთ? ჩვენ ვიცით, ვთქვათ, პარიზის წმინდა სერგის მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ინსტიტუტის მაგალითზე, რომ იქ ძალიან განსხვავებული მიმართულების ღვთისმეტყველები იყვნენ, რომ ისინი ერთმანეთთან კამათობდნენ, რაღაც საკითხებში ვერ თანხმდებოდნენ.

მაგალითად, მ. სერგი ბულგაკოვი ერესშიც კი დაადანაშაულეს, მაგრამ ვიღაც სხვა მას პირიქით, იცავდა. ეს ბუნებრივია ჯანსაღი თეოლოგიური გარემოსთვის. როგორც პავლე მოციქული ამბობს: წვალებაცა ყოფად არიან თქუენ შორის, რაჲთა რჩეულნი იგი თქუენ შორის გამოჩნდენ (1 კორ 11:19). თუკი მართლაც აღმოჩნდება, რომ რომელიმე თეოლოგი მწვალებლობას ქადაგებს, მაშინ ამის შესახებ შესაბამისმა რელიგიურმა კონფესიამ უნდა განაცხადოს და თქვას: „ადრე მას ჰქონდა ჩვენი მხრიდან აღიარება, ახლა კი მან ეს დაკარგა, რადგან ერესს ქადაგებს“. ეს ნიშნავს, რომ თეოლოგის კავშირი რელიგიურ კონფესიასთან, ანგარიშვალდებულების გარკვეულ ხარისხსაც გულისხმობს.

– მამა სერგი ბულგაკოვის მაგალითი ამ შემთხვევაში ძალიან დროულია. არაერთხელ მომისმენია მ. სერგის სულიერი შვილებისგან, რომ ის არასდროს ქადაგებდა ამბიონიდან იმ თავის სპეციფიკურ საღვთისმეტყველო იდეებს, რომლებსაც თავის თეოლოგიურ შრომებში ავითარებდა. როგორც მღვდელი, ის, უპირველესად, საკურთხევლის მსახური, სულიერი მოძღვარი, მქადაგებელი და ახალგაზრდული მართლმადიდებლური მოძრაობის მფარველი იყო, ხოლო მისი ღვთისმეტყველური დოქტრინა – წიგნებში, კვლევებში შეეძლოთ ენახათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს შეიძლება გავაცალკევოთ, მაგრამ ამისათვის უნდა დავუშვათ თავისუფალი საღვთისმეტყველო კვლევის შესაძლებობა ტრადიციის ჩარჩოებში. დღეს მ. სერგის რთული და მასშტაბური ღვთისმეტყველური სისტემა ჩვენთან ან სიყვარულის საგნად რჩება ან პირიქით, მხილების ობიექტად. როგორ მიგაჩნიათ, ღვთისმეტყველური აზრისა და მეცნიერების განსავითარებლად საჭიროა თუ არა მ. სერგი ბულგაკოვის ღვთისმეტყველების შესწავლა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი ისეთი რამ არის, რაც ხშირად ძნელად ჯდება მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო ტრადიციაში?

– ჩემი აზრით, მისი შემოქმედება უნდა შეისწავლო, როგორც ნებისმიერი გამოჩენილი ღვთისმეტყველის სულიერი შემოქმედება, – დამოუკიდებლად ეპოქისა. აქ შეიძლება ორიგენეს მაგალითი მოვიყვანოთ. ორიგენეს თხზულებები პატროლოგიის კურსის ნაწილია ჩვენს სასულიერო სკოლებშიც კი, თუმცა სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, იგი მწავალებლობისთვის იქნა გასამართლებული. მაგრამ მისი დამსახურებები დოგმატების ფორმულირებებსა და საერთოდ, ღვთისმეტყველების განვითარებაში, იმდენად უდავოა, რომ კვლავაც რჩება პატროლოგიური მეცნიერების შესწავლის საგნად. მაგალითად, შეისწავლო დიდი კაპადოკიელი მამები და იგნორირება გაუკეთო ორიგენეს, უბრალოდ შეუძლებლია. ორიგენეს შესწავლის გარეშე ჩვენ ვერ გავიგებთ აღმოსავლურ-ქრისტიანული რელიგიისა და ღვთისმეტყველების აზრის განვითარების გზებს.

ვფიქრობ, იგივე შეიძლება ითქვას მამა სერგი ბულგაკოვთან მიმართებითაც. როდესაც მას ვსწავლობთ, ვხედავთ, რომ ეს იყო წმინდა მამებისეულ ღვთისმეტყველებაში ღრმად ჩაძირული ადამიანი: ფრიად ნაკითხი იყო, ზეპირად იცოდა წმინდა მამების ნაშრომების მთელი გვერდები. თუმცა, იმავდროულად, მასზე პირდაპირი გავლენა იქონია ჩვენმა რუსულმა „ვერცხლის საუკუნემ“, მათ შორის პოეზიამ: ვლადიმერ სოლოვიოვი, ალექსანდრე ბლოკი, სოფია, ლამაზი ქალბატონი – ყოველივე ეს გასაოცრად გადაიხლართა მის ღვთისმეტყველებაში. შეიძლება ამაში ვინმემ ერესი დაინახოს, მაგრამ მე აქ მსაჯულად ვერ გამოვდგები, რადგან მისი შრომები სიღრმისეულად არასდროს შემისწავლია.

კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა შემიძლია, რომელიც დაწვრილებით შევისწავლე: მოძრაობა, რომელმაც მიიღო სახელმადიდებლობის სახელწოდება. ის დაიგმო, როგორც მწვალებლობა. თუმცა მე ვფიქრობ, რომ მწვალებლობა, როგორც ასეთი, იქ არ ყოფილა. იყო იქ რაღაც წარუმატებელი ფორმულირებები, იქ იყო „ჰუსარული ღვთისმეტყველება“ მღვდელსქემმონაზონ ანტონისა (ბულატოვიჩი), რომელმაც თავის თხზულებაში – „რწმენის აპოლოგეა ღვთის სახელით“, ყველაფერი ერთდროულად ჩატენა, ტენდენციურად წარმოაჩინა რაღაც ციტატები. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ეს ბერები რაღაც ერესს ქადაგებდნენ.

სინამდვილეში, იქ იყო უბრალოდ სხვადასხვა გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს ღმერთის სახელი, და სხვადასხვა ფორმულირება. როდესაც მთელს ამ ისტორიას ას წელზე მეტი ხნის გადასახედიდან უყურებ,

ხედავ, რომ ეს იყო აზრთა განსხვავება, ის წარმოიშვა, მაგრამ სათანადოდ განკურნებული არ იქნა, და ამ ისტორიამ სამწუხარო შედეგები გამოიღო.

– მინდა შეგეკითხოთ რამდენიმე საბაზისო ცნების შესახებ – ღვთისმეტყველების განვითარების პერსპექტივაში, როგორც საეკლესიო, ისე საერო აკადემიურშიც. აი, რამდენიმე ტერმინი და გამოთქმა, რომლებიც არსებობს ჩვენს ახლანდელ საღვთისმეტყველო დისკურსში: ორთოდოქსია, წმინდა მამებისეული ღვთისმეტყველება, ე. წ. მამათა თანხმობა, თეოლოღუმენი ან კერძო ღვთისმეტყველური აზრი. როგორ კომენტარს გაუკეთებდით ამ ტერმინებს?

– ვფიქრობ, რომ ცნება – წმინდა მამებისეული ღვთისმეტყველება, მაინც საკმაოდ მკაფიოდ შემოხაზავს გარკვეულ გეოგრაფიულ და დროებით რეალობას. არსებობს სხვადასხვა შეხედულება იმაზე, თუ როდის დამთავრდა წმინდა მამებისეული ღვთისმეტყველება. ბევრი თანამედროვე ღვთისმეტყველი მიიჩნევს, – როგორც, მაგალითად, ჩემი მასწავლებელი კალისტოსი (უერი), – რომ წმინდა მამებისეული ღვთისმეტყველება არ დასრულებულა და გრძელდება, და მე ამას ვეთანხმები. მაგრამ მაინც, როდესაც წმინდა მამებისეულ ეპოქას ვიღებთ, როგორც აკადემიური შესწავლის საგანს, ჩვენ მას მეტ-ნაკლებად იმ ჩარჩოებით ვსაზღვრავთ, რომლებიც თავის დროზე აბატმა ჟან-პოლ მინმა დაადგინა: I-დან მე-XIV ს., ანუ ახალი აღთქმიდან გრიგოლ პალამამდე, – თუ ვილაპარაკებთ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციაზე; ხოლო თუ დასავლურ-ქრისტიანულ ტრადიციაზე ვლაპარაკობთ, მაშინ – მე-XI ს.-მდე. ეს ის არის, რაც ჩვენ გვესმის წმინდა მამებისეული ღვთისმეტყველების ცნების ქვეშ, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ ტერმინის სხვა გაგებაც შეიძლება არსებობდეს.

რაც შეეხება მამების თანხმობას – consensus patrum, – ეს ის საერთო და უცვალებელია, რასაც წმინდა მამები ქადაგებდნენ. ის, რაც ასახულია მრწამსში, სარწმუნოების სწავლების კლასიკურ განსაზღვრებებში, ის, რაც ასახულია ჩვენს ღვთისმსახურებაში, რომელიც მთლიანად განმსჭვალულია სარწმუნოების დოგმატებით – იქაც ეს კონსენსუსი სრულადაა ასახული.

ხოლო ის, რაც რუსულ საღვთისმეტყველო ტრადიციაში პროფესორმა ვ. ვ. ბოლოტოვმა აღნიშნა

ტერმინით „თეოლოღუმენი“, რომელშიც მას ესმოდა კერძო ღვთისმეტყველური აზრი, ეს ის ღვთისმეტყველური აზრია, რომელიც გამოთქმულია ამა თუ იმ ღირსეული ავტორის მიერ. შეიძლება ეს ყოფილიყო ეკლესიის მამაც, რომელსაც არ დათანხმებულან სხვა ავტორები და არ წარმოადგენს საერთო საეკლესიო სწავლების შემადგენელ ნაწილს. ეს თეოლოღუმენები კარგადაა ცნობილი, მაგალითად, სწავლება საყოველთაო ცხონების შესახებ, რომელიც ძალიან მკაფიოდ არის გამოხატული გრიგოლ ნოსელთან და ისააკ ასურთან. ეს კერძო აზრებია. იმ ფორმით, რომლითაც ის ორიგენესთან იყო გამოთქმული, ეკლესიის მიერ დაგმობილია; იმ ფორმით კი, როგორც არის გრიგოლ ნოსელთან და ისააკ ასურთან, ეკლესიას არ დაუგმია, მაგრამ არც შეუწყნარებია. ამიტომ მართლმადიდებლური სწავლების ნაწილად ვერ ჩავთვლით, მაგრამ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც კონკრეტული ავტორების კერძო აზრი.

– ნიშნავს თუ არა ეს, რომ ღვთისმეტყველების სივრცე არ არის იგივეობრივი სარწმუნოებრივი სწავლების, დოგმატიკის, ორთოდოქსიის სივრცესთან? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მხრივ არსებობს ზოგადსაეკლესიო სარწმუნოებრივი სწავლება, და აქ შეგვიძლია ვთქვათ: ეს მართლმადიდებლურია, აი, ის არ არის მართლმადიდებლური. მეორე მხრივ, არსებობს ზონა, სადაც შესაძლებელია საღვთისმეტყველო ხასიათის მსჯელობა და სადაც ისეთი კერძო აზრები წარმოიშობა, რომლებიც არ ხდება ეკლესიის სწავლების ნაწილი, მაგრამ არიან საკუთარი ღვთისსიტყვაობის, საკუთარი ნააზრევის ელემენტები. ასეა?

– ვფიქრობ, რომ ასეა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თვით ეკლესიის სწავლება ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ ის თანდათან ფორმირდებოდა, არამედ ნიშნავს იმას, რომ ის თანდათან ფორმულირდებოდა. ის დოგმატები, რომლებსაც ღვთივგაცხადებულ ჭეშმარიტებებად ვაღიარებთ, კონკრეტულ ეპოქაში ფორმულირდებოდა დიდი სიზუსტით და წარმოშობილ ერესებზე საპასუხოდ. რაღაც აზრით იმის თქმაც შეიძლება, რომ ერესები იყო ერთგვარი მამოძრავებელი ძალა სარწმუნოებრივი სწავლების ფორმულირებისათვის.

კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან. დიდხანს ვერ ხვდებოდნენ, როგორ შეიძლებოდა იესო ქრისტეში შეერთებულიყო ღმრთეება და კაცება. და აი, გამოჩნდა ერთი „ჭკვიანი“, აპოლინარიოს ლაოდიკიელი, რომელმაც თქვა: ყველაფერი მარტივადაა – სიტყვა იქმნა ხორცად, ანუ შეისხა კაცობრივი სხეული, ხოლო ღმრთეებრივი მასში – ეს არის სული და სამშვინველი. თითქოსდა, ლამაზი ახსნაა, და მაშინვე ვერ მიხვდნენ, რომ ამის უკან არა უბრალოდ კერძო საღვთისმეტყველო აზრი იმალებოდა, არამედ – მწვალებლობა. პირველი, ვინც ეს გამოიცნო, იყო წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი. მან თქვა: ეს როგორ, არ მიღებული, განა, განუკურნებული არ რჩება?! თუკი ძე ღვთისამ ადამიანის მხოლოდ ხორცი მიიღო, ეს

ნიშნავს, რომ მან მხოლოდ კაცობრივი ხორცი განაღმრთო. მაშინ რა მოსდის ჩვენს სულსა და სამშვინველს? და გრიგოლი ამბობს, რომ ძე ღვთისამ მიიღო სრული ადამიანი – სული, სამშვინველი და სხეული. რატომ? იმიტომ, რომ არმიღებული – განუკურნებელია. ის, რაც ერთი შეხედვით კერძო საღვთისმეტყველო აზრად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, საშიში მწვალებლობა აღმოჩნდა, რომელიც ქრისტელოგიის საფუძვლებს არღვევდა.

აი, ზოგჯერ ასე შეჰყავდა ადამიანი ცდომილებაში საღვთისმეტყველო დისკურსს, რთულად ასახსნელი საგნების ახსნის გზების ძიებისას. ზოგი მათგანი ეკლესიამ სიცოცხლეშივე დაგმო, ზოგი – სიცოცხლეშივე გამოასწორა და ადამიანი უარს ამბობდა საკუთარ აზრზე, ზოგთან მიმართებით კიდევ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე არასწორად ასწვლიდა.

თუკი ახლანდელ მდგომარეობაზე ვილაპარაკებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენ გაგვაჩნია ჩვენი სარწმუნოების ბურჯები, რომელთა შერყევაც შეუძლებელია, რომლებიც ხელშეუხებელია – ეს არის დოგმატები. მაგრამ სარწმუნოების შესწავლის ყოველი ახალი ეტაპი ახალ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. თუ ჩვენ ახლა ახალგაზრდა კაცს, რომელიც ქუჩიდან მოვიდა, წმიდა სამების დოგმატის ახსნას იმ ტერმინებით დავუწყებთ, რომლითაც წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი მეტყველებდა, – ის ვერაფერს გაიგებს. იგი იტყვის: რა თავგზას მიბნევთ? თქვენ მე ადამიანურად ამიხსენით, რას ნიშნავს ყოველივე ეს – ერთი ღმერთია თუ სამი ღმერთი? და ჩვენ თანამედროვე ენაზე უნდა ვიპოვოთ სიტყვები, რომლითაც ავუხსნით იმავე ჭეშმარიტებებს ისე, რომ არ შევცოდავთ ამ ჭეშმარიტებების წინააღმდეგ.

კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც თქვენს კითხვაში შეეხეთ, არის ის, რომ თეოლოგია არ ამოიწურება მხოლოდ დოგმატური ღვთისმეტყველებით. ღვთისმეტყველება არის ზნეობრივი, შედარებითი, სამოძღვრო... ღვთისმეტყველებითი მეცნიერების სხვადასხვა ასპექტი არსებობს, რომლებიც მაინცდამაინც მკაცრად არ არის დოგმატებთან მიჯაჭვული, არამედ მეტი თავისუფლებაა დაშვებული და უფრო მეტიც, არსებობს სადავო მომენტები.

– მე შეკითხვას სხვანაირად ჩამოვაყალიბებდი. რომელია ის ღვთისმეტყველური გაურკვევლობის

და სიცხადეს მოკლებული ზონები, რომლებზეც ძველად არ ულაპარაკიათ, მაგრამ სწორედ ახლაა საჭიროა მისი ღვთისმეტყველურად დამუშავება? რომელია ასეთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემები და პრობლემები?

– ვფიქრობ, რომ ამჟამად ყველაზე მთავარი ასეთი თემები უკავშირდება ბიოეთიკის საკითხებს. ბევრი რამ იქიდან, რაც უკავშირდება თანამედროვე სამედიცინო ბიოტექნოლოგიას, ძველ დროში არ იყო ადამიანებისათვის ცნობილი. ეს ახალი ფენომენებია, და მათ შეიძლება მივუახლოვდეთ რაღაც ფორმალური თვალსაზრისით ან ნაკლებ ფორმალურით, და ესეც სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

მაგალითად, კრებათაშორის სათათბიროში, ღვთისმეტყველების კომისიის ჩარჩოებში, ჩვენ ვმსჯელობთ ბიოეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მსჯელობის პროცესში ისეთი უთანხმოება იჩენს თავს, რომლებიც ფაქტიურად კომისიის წევრებს ორ მხარედ ჰყოფს. ერთნი ამბობენ, რომ ჩვენ ამას არ ვიღებთ არანაირი ფორმით, სხვები კი ამბობენ, რომ რაღაც ფორმებით, გარკვეული პირობებით, შეგვიძლია ეს ვაღიაროთ.

სულ ახლანდელი მაგალითი – დისკუსია ეკგ-ს შესახებ (ექსტრაკორპორალური განაყოფიერება). ეს დისკუსია ჩვენთან დასრულებული არ არის და მე არ ვიცი, რა დასკვნამდე მივალთ საღვთისმეტყველო კომისიაში. მაგრამ დისკუსიის მსვლელობაში დავინახეთ, თუ როგორ გაიყო ჩვენი საღვთისმეტყველო საზოგადოება. არიან ისეთები, ვინც მიიჩნევენ, რომ ეს პრინციპულად მიუღებელია, მაგრამ ისეთებიც არიან, ვინც ამბობენ: თუკი არა აქვს ადგილი ემბრიონების მკვლელობას, თუკი ფაქტიურად საუბარია, მხოლოდ იმაზე, რომ ექიმები ცოლ-ქმარს დაეხმარონ ბავშვის ჩასახვაში, რომ მერე ქალმა შობოს, მაშინ ეს რატომ არ უნდა დავუშვათ? და აი, ჩვენ ვზივართ და ვმსჯელობთ...

– მაგრამ ეს ისეთი საკითხია, რომელიც საღვთისმეტყველო ანთროპოლოგიას უკავშირდება და ამიტომ – ეკლესიის დოგმატურ სწავლებასაც, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისთავად პრაქტიკული ხასიათისაა. უნდა მოვიძიოთ თუ არა აქ დოგმატური ტრადიციის რაღაც რესურსები, რათა

გადავჭრათ ეს თანამედროვე პრობლემური საკითხები?

– არა მარტო დოგმატურ სწავლებას უკავშირდება, არამედ ზნეობრივ ტრადიციებსაც, რადგან ეს საკითხები პირდაპირ ეხება ზნეობის სფეროს. ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ თითოეული ეპოქა თავის შეკითხვებს სვამდა და ღვთისმეტყველებს მათზე პასუხის გაცემა უხდებოდათ ერთი და იმავე წყაროდან – საეკლესიო გარდამოცემიდან. ჩვენც იმავე წყაროთი ვსარგებლობთ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ მივუსადაგოთ ახლა ეს გარდამოცემა კონკრეტულ რეალობას, რომელსაც ვეჯახებით და რომელსაც წმინდა მამები არ შეჯახებიან – მათთან ჩვენ მზა პასუხებს ვერ ვიპოვით ჩვენს შეკითხვებზე. თავად უნდა ჩამოვაყალიბოთ ეს პასუხი.

– აქტუალურ თემებთან დაკავშირებით ღვთისმეტყველური მუშაობის რაიმე დადებითი შედეგები ჯერჯერობით არ არსებობს?

– აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით რეზულტატები არ გვაქვს, მაგრამ ზოგიერთი თემის ირგვლივ შედეგებს მივაღწიეთ. მაგალითად, სუროგატული დედობის შესახებ ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ეკლესიური პოზიცია. ეკგ-ს შესახებ – პოზიციის ფორმულირების სტადიაში ვართ და ვფიქრობ, ადრე თუ გვიან ჩვენ მასთან მივალთ.

– ახლა რამდენიმე შეკითხვა უნდა დაგისვათ, როგორც ღვთისმეტყველს. თქვენ დაიწყეთ პატროლოგიური კვლევებით და ოქსფორდში დისერტაციას წერდით პატროლოგიურ თემაზე. რაღაც მომენტში გადახვედით სისტემატური ღვთისმეტყველების ფორმატში, წერდით დიდ ისტორიულ-საღვთისმეტყველო ტექსტებს. რატომ წახვედით კონკრეტული სამეცნიერო პრობლემატიკიდან და დაიწყეთ, ასე ვთქვათ, მასშტაბური ღვთისმეტყველური ტილოების შექმნა?

– პასუხის გაცემას წინარე ისტორიით დავიწყებ. ჩემი ღვთისმეტყველური ფორმირება სიყმაწვილეში დაიწყო წმინდა მამებისეული ლიტერატურის და თანამედროვე ავტორების კითხვით, მაგრამ საღვთისმეტყელო ცოდნის ძირითადი მუხტი მონასტერში მივიღე – იმის წყალობით, რომ შესაძლებლობა მომეცა, რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველდღიურად მიმეღო მონაწილეობა დღეღამური ციკლის ყველა ღვთისმსახურებაში. სწორედ ამის საშუალებით შევითვისე ეკლესიის დოგმატური ტრადიცია, ანუ მასში შევედი არა იმდენად წიგნების, რამდენადაც ლოცვითი გამოცდილების გზით. ყოველ ჯერზე, როცა მოგვიანებით ღვთისმეტყველებას მივმართავდი, უპირველესად ამ გამოცდილებიდან გამოვდიოდი, მათ შორის, როდესაც სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მემკვიდრეობის შესწავლა დავიწყე. მახსოვს, პირველი, რაც გავიფიქრე, იყო: უბრალოდ, უნდა წარმოვიდგინო, თუ როგორ სიტუაციაში ცხოვრობდა იგი. ის არ იყო კაბინეტური მეცნიერი, არ უჯდა წიგნებს. ის ეკლესიაში დადიოდა და იგივე მსახურებებს ისმენდა, რასაც მე წიგნებში ვკითხულობდი. აი, თურმე სად არის ღვთისმეტყველების წყარო.

როდესაც თავიდან სემინარიაში მოვეწყვე, შემდეგ აკადემიაში და მერე ოქსფორდის უნივერსიტეტში, საღვთისმეტყელო სპეციალობად პატროლოგია ავირჩიე და ერთი მეორის მიყოლობით კონკრეტულად ვსწავლობდი წმინდა მამებს. პირველი იყო ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი – ასე ვთქვათ, ჩემი პირველი სიყვარული, მაგრამ სანამ მასზე წიგნს ვწერდი, იმდენად დამაინტერესა წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველმა, რომ მივხვდი, ჩემი შემდგომი წიგნი მასზე იქნებოდა. ჯერ კიდევ ოქსფორდში სწავლის პერიოდში შევაგროვე ჩაფიქრებული წიგნისთვის ყველა აუცილებელი მასალა. ბოდლეანის ბიბლიოთეკაში შესაბამისი სტატიების ქსეროასლებს ვიღებდი და ამაზე ფულს ვხარჯავდი, რაც სტუდენტისთვის ყოველთვის გარკვეული მსხვერპლის გაღებას უკავშირდება...

იქვე, ოქსფორდში, დავიწყე ისააკ ასურის შესწავლა, იმიტომ, რომ იქ იყო სებასტიანე ბროკი – სირიული ტრადიციების უმსხვილესი სპეციალისტი. უბრალოდ, არ შემეძლო მის გვერდზე ჩამეარა და არ მესარგებლა მისი ცოდნის საუნჯით. აი, ამ სამი მამისგან ვსწავლობდი და მათ შესახებ წიგნები დავწერე.

მერე დადგა საკითხი ჩემი შემდგომი საქმიანობის თაობაზე. ხომ შეიძლება მთელი ცხოვრება თანმიმდევრობით წერო წიგნები წმინდა მამებზე... XIX საუკუნეში ერთი გერმანელი მეცნიერი ცხოვრობდა, რომელიც ათ წელიწადში ერთხელ მონოგრაფიას წერდა რომელიმე წმინდა მამის შესახებ. შეიძლებოდა ასეთი აკადემიური გზით წასვლა, მაგრამ მე სხვა თემებიც მაინტერესებდა.

რაღაც მომენტში მივედი იმ აზრამდე, რომ ერთ მონოგრაფიაში გადმომეცა, თუ რა არის მართლმადიდებლობა, ანუ დამეწერა მართლმადიდებლობაზე, როგორც რაღაც კოგერენტულ სისტემაზე, სადაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია, რადგან უკვე ვხედავდი, რომ ღვთისმსახურება მჭიდროდაა დაკავშირებული ღვთისმეტყველებასთან. როგორ ვაჩვენოთ ეს კავშირი? და გადავწყვიტე, რომ დავწერდი წიგნს სახელწოდებით: „მართლმადიდებლობა". მით უმეტეს, რომ პრეცედენტები უკვე არსებობდა: გამოცემული იყო სერგი ბულგაკოვის „მართლმადიდებლობა" და სხვ. ორტომეულში**[1]** (ვიგრძენი, რომ მესამე ტომს ველარ ვეყოფოდი) შევეცადე, მართლმადიდებლობა წარმომედგინა როგორც კოგერენტული სისტემა. დავიწყე კონკრეტული შეხედულებით ისტორიაზე, შემდეგ გადმოვეცი მთელი დოგმატიკა, ამის მერე გადავედი ღვთისმსახურებაზე, საეკლესიო არქიტექტურაზე, ხატწერაზე, საეკლესიო მუსიკაზე. მაგრამ მე ვცდილობდი ყოველივე ეს ერთი საერთო პერსპექტივიდან განმეხილა.

– თქვენ კიდევ გქონდათ სავსებით სისტემატური ხასიათის წიგნი „სარწმუნოების საიდუმლოება".

– ეს იყო ჩემი ყველაზე პირველი წიგნი, რომელიც ოქსფორდში გამგზავრებამდე დავწერე. მისი დაწერის მიზეზი ის იყო, რომ მოულოდნელად დამნიშნეს ღვთისმეტყველების ლექტორად. დამირეკა სასულიერო აკადემიის პრორექტორმა და მიხრა: თქვენ ხვალ პირველი ლექცია გაქვთ. როდესაც სახელმძღვანელოები მაჩვენეს, რომლებითაც სტუდენტები სწავლობდნენ, საბეჭდ მანქანაზე ამობეჭდილი ე. წ. კონსპექტები (ღვთის გონების ხუთი თვისება, ღვთის ნების სამი თვისება...), მივხვდი, რომ ასე ვერ ვასწავლი, უნდა ვიპოვო წმინდა მამებისეული სინთეზი. სწორედ მაშინ შევადგინე ეს წიგნი**[2]**.

– ეს იყო, ასე ვთქვათ, სალექციო კურსის მასალა?

– დიახ, სასწავლო მასალა. 1992 წელი იდგა. ამის შემდეგ იყო ოქსფორდი, წიგნები სვიმეონის, გრიგოლ

ღთისმეტყველისა და ისააკ ასურის შესახებ**[3]**. შემდგომში დამაინტერესა სახელმადიდებლობის თემამ და ამის შესახებ დიდი წიგნი დავწერე**[4]**. თანაც ამ შემთხვევში მჭირდებოდა როგორც დოგმატური, ისე ისტორიული მასალაც. მე ვკითხულობდი იმდროინდელ გაზეთებს, და ყველაფერი ეს დეტექტიურ ისტორიას ჰგავდა. შემდეგ იყო წიგნი „მართლმადიდებლობა“.

– თქვენი საავტორო კატეხიზმო – ეს რა არის? უბრალოდ განაგრძეთ მოკლე საავტორო მართლმადიდებლური კატეხიზმოების ტრადიცია, რომლებიც გასულ საუკუნეში გამოჩნდა ემიგრაციაში მყოფი რუსების ეკლესიურ ცხოვრებაში და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებშიც? თუ სხვა მოტივაცია გქონდათ?

– ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სინოდალური საღვთისმეტყველო კომისიის ჩარჩოებში ათი წლის განმავლობაში ვცდილობდით, შეგვედგინა კატეხიზმო და ერთობლივი შრომით, ბევრი ძალისხმევის შემდეგ, ტქსტი მომზადდა, არაერთხელ გავუკეთეთ რედაქტირება, მერე შენიშვნებისა და შეფასებისთვის გადავეცით კომპეტენტურ პირებს. მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით შევიტანეთ შესწორებები... და აი, რაღაც მომენტში მივიღე გამოძახილი ერთი ძალიან პატივსაცემი ჩვენი იერარქისგან, სადაც ნათქვამი იყო: დიახ, სასარგებლო კატეხიზმოა, მასში ბევრია მნიშვნელოვანი, მაგრამ ძალიან ვრცელია. ვინ წაიკითხავს ასეთ ვრცელ ტექსტს? ჩვენ უფრო რაღაც მოკლე და იოლად გასაგები გვჭირდება... მაშინ დავფიქრდი: ახლა რომ პროცესი თავიდან დავიწყოთ და მოკლე კატეხიზმოს შედგენაზე ვიზრუნოთ, კიდევ ათი წელი გავა, ჩვენ მას დავწერთ, მაგრამ შეიძლება გვითხრან: აი, ეს საკითხი არ გახსენით, ამაში საკმაო სიცხადე არ შეიტანეთ, ძალიან ზედაპირულია – უფრო დაწვრილებითი ახსნით გააკეთეთ.

ამაზე ფიქრში დავჯექი და სამ დღეში შევადგინე კატეხიზმო. გამოსაცემად მომზადებას დაახლოებით წელიწადი დასჭირდა, მაგრამ თვით ტექსტს თითქმის მაგიდიდან აუდგომლად ვწერდი. მუშაობას ვწყვეტდი მხოლოდ ძილის, ლოცვისა და ჭამის დროს. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მაქსიმალურად გასაგები ფორმით გადმომეცა ის ძირითადი ჭეშმარიტებები, რომლებიც ეხება სარწმუნოების სწავლებას, ზნეობასა და ეკლესიურ მოწყობას**[5]**.

– არცთუ დიდი ხნის წინ გამოვიდა მთელი სერია თქვენი წიგნებისა იესო ქრისტეს შესახებ. ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ - რა არის ეს, რომელ ჟანრშია დაწერილი?

– ეს იყო მკვეთრი შემობრუნება ჩემს საღვთისმეტყველო განვითარებაში. ბევრი წლის შემდეგ, როდესაც პატრისტიკითა და ღვთისმეტყველების სფეროში ფართო კვლევებით ვიყავი დაკავებული, უეცრად უზარმაზარი ლაკუნა აღმოვაჩინე საკუთარ საღვთისმეტყველო ცოდნაში – ე. წ. ახალი აღთქმისეული ღვთისმეტყველების სფეროში. რა თქმა უნდა, ბავშვობიდან ვკითხულობდი სახარებას, წმინდა მამების განმარტებებს, რაღაც მეცნიერულ შრომებს, მაგრამ სისტემურად არასდროს მიმუშავია ახალი აღთქმის ტექსტთან და აი, ერთხელაც ვიგრძენი, რომ ჩემთვის აუცილებელია მთელი ამ გიგანტური მასივის ათვისება, – ცხადია, რაღაც დოზით. მე ის ავითვისე დაახლოებით ათასი წიგნისა და სტატიის მოცულობით. ეს ზღვაში წვეთია, თუ ავიღებთ მთელ ახალ აღთქმისეულ ღვთისმეტყველებას, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გავეცანი ძირითად მიმართულებებს და ახალი აღთქმისეული საღვთისმეტყველო აზრის უმეტეს რეპრეზენტაციურ შრომებს. მოვახერხე ჩემთვის ჩამომეყალიბებინა გარკვეული ხედვა იმისა, თუ როგორ იქმნებოდა სახარების ტექსტი, რომელი აუდიტორიისთვის და როგორ შეიძლება დღეს მისი წაკითხვა.

საღვთისმეტყველო მუშაობის ჩემეული მეთოდი არ გულისხმობს მხოლოდ კითხვას – მე, ჩვეულებრივ, იმისდა მიხედვით ვკითხულობ, როგორც ვწერ. რაღაც მომენტში ხელში ჩამივარდა პაპის, ბენედიქტე XVI წიგნი „იესო ნაზარეთიდან“. ისე, რომ წიგნი არც წამიკითხავს, უბრალოდ გადავფურცლე, მივხვდი, რომ უნდა დამეწერა წიგნი იესო ნაზარეთელის შესახებ. თავიდან ვფიქრობდი, რომ ეს ერთი წიგნი იქნებოდა, მაგრამ როცა მასზე მუშაობა დავიწყე, შევხედე, რომ წიგნის მოცულობა სულ უფრო იზრდებოდა და საბოლოოდ ექვსი ტომი გამოვიდა**[6]**. თითოეულ ტომზე მუშაობისას დაახლოებით ორასი წიგნისა და სტატიის წაკითხვა მომიხდა.

რატომ მოვკიდე ამ საქმეს ხელი? პირველი ის, რომ უზარმაზარ ლაკუნას ვამჩნევდი ჩემს საღვთისმეტყველო მცოდნეობაში, მეორეც, ეს ეხება ჩვენი სარწმუნოების გულისგულს: ვინ არის იესო ქრისტე? ჩემი სურვილი იყო, იესო ქრისტეს პიროვნებასთან მივსულიყავი არა დოგმატური ტრადიციების შიგნიდან, როგორც ამას წინა წიგნებში ვაკეთებდი, ანუ არა ქრისტელოგიის შიგნიდან: ორი ბუნება, ორი ნება, ორი მოქმედება, გამოსყიდვის თეორია და ა. შ., არამედ ქრისტესთვის მინდოდა შემეხედა, როგორც ცოცხალი ადამიანისთვის, როგორც ისტორიული პიროვნებისთვის, ანუ ქრისტე დამენახა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ადამიანი.

წინასიტყვაობაში ვწერ, რომ, როგორც მართლმადიდებელი ადამიანი, ვაღიარებ ქრისტეს განხორციელებულ ღმერთად, მაგრამ მინდა ეს დავამტკიცო, და მთელი ექვსი ტომის ფურცლებზე ვცდილობ, ვაჩვენო, რომ იესო ქრისტეში ღვთაებრივი ბუნება შეერთებულია კაცობრივ ბუნებასთან, თანაც კაცობრივ ბუნებასთან მთელი მისი სავსებით. მინდა ვაჩვენო, რომ იესო ქრისტე რეალური ადამიანი იყო, რეალურად ტიროდა, წუხდა, მრისხანებდა, ხარობდა. წიგნში წმინდა მამებისეული ღვთისმეტყველების ისეთ ასპექტს ვეხები, როგორიც არის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ იესო ქრისტეს ზოგიერთი მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიურ დატვირთვას ატარებდა. ასე, მაგალითად, ზოგიერთი განმმარტებელი ამბობს, რომ ზღვაზე ქარიშხლის ამოვარდნის დროს მას ნავის კიჩოზე იმისთვის ეძინა, რომ მოწაფეებისთვის ესა და ეს ესწვლებინა. მე კი შევეცადე დამენახა, თუ რას აკეთებდა მანამდე უფალი იმ დღეს. თურმე რამდენი რამ გაუკეთებია იმ დღეს! იგი დაიღალა, ადამიანურად დაიღალა. ამიტომ გასაკვრი არაა, რომ მას ქარიშხლის დროს ნავის კიჩოზე დასძინებოდა. მას ეძინა არა იმიტომ, რომ ამით ვინმესთვის რამე ესწავლებინა, არამედ, უბრალოდ, ეძინებოდა. სახარებაში ბევრი ასეთი დეტალია და ხშირად ჩვენ მათ ვერ ვამჩნევთ. მე კი მინდოდა მეჩვენებინა, თუ როგორ გვეხსნება ადამიანურიდან ღვთაებრივი და კაცის მეშვეობით – ღმერთი.

– კიდევ რამდენი ტომი იქნება?

– იესო ქრისტეს შესახებ ეს ნაშრომი მე დავასრულე ექვს ტომში. მერე კი შეგროვებული მასალის გამოყენება დავიწყე. მაგალითად, გავაკეთე შემოკლებული ვარიანტი ცნობილი ლიტერატურული სერიისთვის: „გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება“. აღმოჩნდა, რომ ამ სერიაში, რომელიც ორი ათას ტომს შეიცავს, შეტანილი ყოფილა წიგნები მუჰამედის, ბუდას, კონფუცის შესახებ, იესო ქრისტეზე კი არ ყოფილა. მე შევთავაზე ასეთი წიგნი და ის გამოიცა**[7]**.

ამის მოტივი ასეთი შემთხვევაც გახდა. ერთ პატივცემულ ადამიანს ამ სერიის ხუთი წიგნი ვაჩუქე. ერთი წლის შემდეგ კი მან მითხრა: „წავიკითხე პირველი ტომი, მაგრამ იქ მხოლოდ ქრისტეს შობაზეა მოთხრობილი... და ახლა რა – ექვსი ტომი უნდა წავიკითხო?“. მივხვდი, რომ ახლა ის დრო არ არის, როცა ხალხი ექვსტომიან წიგნებს კითხულობს. ასე რომ, ექვსტომეული იმათთვის რჩება, ვინც მზად არის მის წასაკითხად. სხვათა შორის, მას მუდმივად ყიდულობენ. პირველი გამოცემა ათი ათასი ტირაჟით გამოვიდა, მაგრამ გათავდა და ახლა მეორე ტირაჟი დაიბეჭდა. ეს ნიშნავს, რომ ვიღაც ჯერ კიდევ

კითხულობს ექვსტომიან წიგნებს, მაგრამ ადამიანებს რაღაც მოკლე საკითხავიც უნდა მიაწოდო.

უკანასკნელ პერიოდში მე უფრო მოკლე, ადვილად გასაგებ ტექსტებს ვწერ, სამეცნიერო აპარატის გარეშე, რათა სხვა აუდიტორიას მივწვდე. გარდა ამისა, ბევრს ვმუშაობ ვიდეოფორმატში იმიტომ, რომ ბევრი ადამიანი დღეს წიგნებს საერთოდ არ კითხულობს – ვიდეორგოლების ყურებას ან აუდიო-წიგნების მოსმენას ამჯობინებს.

– ე.ი. თქვენი საღვთისმეტყველო მოღვაწეობა ბოლო დროს შერეული ხასიათისაა, უფრო საგანმანათლებლო სფეროსკენაა მიმართული...

– ვცდილობ, არც აკადემიური სამუშაო გადავდო. უკანასკნელი წიგნის სახელწოდება, რომელიც დავწერე, მაგრამ ჯერ არ გამოსულა, არის „ღვთისმშობლის საიდუმლოება“. ეს არის აკადემიური გამოკვლევა 800 გვერდის მოცულობით – I საუკუნის შუახანებდან XI ს-ის შუამდე. მკაცრად მივყვები წყაროებს, მათ უხვად ვციტირებ, ისეთი წყაროებიც მომყავს, რომლებიც რუსულ ენაზე არ არსებობს. და კვლავ, პირადად ჩემთვის იყო საინტერესო ამ თემის სიცხადე. ზოგადად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მე წიგნებს სხვა ვინმესთვის არ ვწერ, მე მათ ჩემთვის ვწერ, რომ რაღაც გავიაზრო, ხოლო იმისდა მიხედვით, რომ რაღაცას ჩემთვის გავიაზრებ და გავაცნობიერებ, ეს უკვე შეიძლება სხვებისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდეს.

– უკანასკნელი კითხვა: რომელია თქვენი სამუშაო ენები საღვთისმეტყველო შრომაში?

– ძველი ენები – ძირითადია ბერძნული, შემდეგ ასირიული და ძველებრაული; რაღაც დოზით – ლათინური, თუმცა სისტემურად ლათინური არასდროს შემისწავლია, მაგრამ როცა საჭიროა, მივმართავ ლათინურ წყაროებს. ახალი ენებიდან პირველი, რა თქმა უნდა, ინგლისურია, მეორე – ფრანგული, მესამე – ბერძნული, შემდეგ სხვა ენები მოდიან დაღმავლობით...

– აუცილებლობიდან გამომდინარე, ამ საუბარში ჩვენ მოკლედ შევეხეთ ღვთისმეტყველების ბუნებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ასევე, თანამედროვე სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში თეოლოგიის ადგილის ზოგიერთ ასპექტს. იმედს გამოვთქვამ, რომ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება – როგორც მისი საეკლესიო რედაქციით, ისე საერო უნივერსიტეტული თეოლოგიის ფორმით – კიდევ უფრო განვითარდება. შევეცადოთ, საერთო ძალისხმევით შევეწიოთ ამ პროცესს.

---

[1] Иларион (Алфеев), еп. Православие: в 2 т. Т. 1: История, каноническое устройство и вероучение Православной церкви. М.: Издательство Сретенского монастыря, 2008; Т. 2: Храм и икона, таинства и обряды, богослужение и церковная музыка. М.: Издательство Сретенского монастыря, 2009.

[2] Иларион (Алфеев), иером. Таинство веры: введение в православное догматическое богословие. М.: Клин, 1996.

[3] Иларион (Алфеев), иером.: 1) Преподобный Симеон Новый Богослов и православное предание. М.: Издательство Крутицкого Патриаршего подворья: Общество любителей церковной истории, 1998; 2) Жизнь и учение святителя Григория Богослова. М.: Издательство Крутицкого Патриаршего подворья, 1998; 3) Духовный мир преподобного Исаака Сирина. М.: Издательство Крутицкого Патриаршего подворья, 1998.

[4] Иларион (Алфеев), еп. Священная тайна Церкви: введение в историю и проблематику имяславских споров: в 2 т. СПб.: Алетейя, 2002.

[5] Иларион (Алфеев), митр. Катехизис: краткий путеводитель по православной вере. Москва: Эксмо: ОЦАД: Синодальный отдел по взаимодействию Церкви с обществом и СМИ, 2017.

[6] Иларион (Алфеев), митр. Иисус Христос: жизнь и учение: в 6 кн. Кн. 1: Начало Евангелия. М.: ОЦАД: Познание, 2017; Кн. 2: Нагорная проповедь. М.: Издательство Сретенского монастыря, 2016; Кн. 3: Чудеса Иисуса; Кн. 4: Притчи Иисуса; Кн. 5: Агнец Божий; Кн. 6: Смерть и воскресение. М.: Издательство Сретенского монастыря, 2017.

[7] Иларион (Алфеев), митр. Иисус Христос: биография. М.: Молодая гвардия: Познание, 2019.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87622/